



MES 4 22 0000640096



14/06/2022

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი: 31.05.2021

სხდომის დაწყების დრო: 14:07 სთ

სხდომის დასრულების დრო: 15:15სთ

საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი

საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

- 1. გოდერძი ბუჩაშვილი** - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის“ ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
- 2. ნათია ზედგინძე-ჯიშკარიანი** - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
- 3. ერეკლე ასტახიშვილი** - შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის“ პროფესორი, სსიპ - შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე;
- 4. ირინა გველესიანი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
- 5. ხათუნა თოდაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი;
- 6. მაკა კაჭარავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
- 7. თეა მჭედლური** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

8. თამარ სირაძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;

9. დავით ტეფნაძე - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი);

10. ეკატერინე შაკიაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;

11. დავით ჩოჩიშვილი - სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

12. ნინო ჭალაგანიძე - შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

13. გურანდა ჭელიძე - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ პროფესორი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ნინო სარჯველაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	ანი ბილანიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
3	ნინო გულიაშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	ნათია ლაჭავა	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების განყოფილების უფროსი	I
2	თენგიზ კუპრაშვილი		ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I
3	მამუკა შენგელია		„სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	I
4	გულნაზი გალდავა			II, III

		შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი	სამართლის სკოლის დეკანი, პროფესორი	
5	მოგელი შენგელია		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	II, III
6				
7	რომეო გალდავა	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი	IV
8	ვეფხვია გვარამია		„სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი	IV
9	ედიშერ ფუტყარაძე		„სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი	IV
10	ლალი გაბისონია		„სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი	IV
11	ასმათ გუგავა		ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი	IV
12	ირინა კვაჭაძე	სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	V, VI
13	მედეა ჯღარკავა		„სამეანო საქმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისა და „საექთნო საქმის ქართულ-ავსტრიულ“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კოორდინატორი	V, VI

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონ ულ საშუალებით მონაწ ილეობის შესახებ	საკითხი
1	ზვიად როგავა	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	მაკა კარტოზია	(ჩაერთო „ზუმით“)	II, III, IV
3		(ჩაერთო „ზუმით“)	IV

	გიორგი მახაროშვილი		
4	ირინე ფხაკაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V, VI
5	ეკა აბუჯანდაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V, VI

აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27⁵-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:07 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
2. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
3. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგემიური მონიტორინგის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „სამედიცინო საქმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის განხილვა;
6. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „საექთნო საქმის ქართულ-ავსტრიულ“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

· არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
2. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
3. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

4. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არააგემიური მონიტორინგის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „სამეანო საქმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის განხილვა;
6. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „საექთნო საქმის ქართულ-ავსტრიულ“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის განხილვა.

1. პირველი საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	13.03.2022 გადაწყვეტილება №291513
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დამშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	სამართალი - 0421
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	თამარ მეფის ქუჩა, №59, ქუთაისი, 4600, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
 ✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცხადი

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტმა, ზვიად როგავამ, განაცხადა, რომ გაცემული იყო 17 რჩევა და 21 რეკომენდაცია, 1.2 კომპონენტთან მიმართებით პროგრამის სწავლის შედეგები უნივერსიტეტს ძალიან კარგად აქვს გაწერილი პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, ანუ ზუსტად არის აღწერილი თუ როგორ უნდა მოხდეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება, მიუხედავად იმისა, რომ აკრედიტაციის პროცესშიც განუმარტეს დაწესებულებას, რომ უნდა ყოფილიყო აღნიშნული მექანიზმის შესაბამისად, პროგრამის სწავლის შედეგების გეგმა არ პასუხობს მექანიზმს, კერძოდ, „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში სწავლის შედეგების მეთოდებად არის გამოყენებული ისეთი აქტივობები როგორცაა ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და დასკვნითი გამოცდა, თვითონ მექანიზმში კი წერია, რომ დასკვნითი გამოცდის მაგივრად უნდა იყოს დავალების შედეგი, რომელიც ზომავს კონკრეტული სწავლის შედეგს. ექსპერტისთვის გაუგებარია, თუ რატომ ვერ აკეთებენ აღნიშნულს, რადგან მექანიზმი გაწერილია სწორად.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დაწვრილებით გაეცნო დასკვნას და სთხოვა ექსპერტს ესაუბრა მეშვიდე რეკომენდაციაზე.

ექსპერტმა განმარტა, რომ ბევრი რეკომენდაცია ერთმანეთის მსგავსი იყო. შესაბამისად, როგორც კი დაწესებულება გააკეთებს გეგმას იმ მექანიზმის შესაბამისად, რომელიც გაწერილია, ყველაფერი თავისთავად გასწორდება, ამიტომ რამდენიმე რეკომენდაცია თითქმის ერთი და იგივე იყო.

მეთერთმეტე რეკომენდაციის (რეკომენდებულია, თეორიული ცოდნისა და გამოცდილების პრაქტიკაში მყისიერი ტრანსფერის მიზნით, უსდ-მ სრულყოფილებაში მოიყვანოს თეორიულ კურსებში ჩაშენებული პრაქტიკის კომპონენტი და სასწავლო კურსის სილაბუსებში მკაფიოდ გამოკვეთოს, თუ რა სახის როლურ და სიტუაციურ თამაშებში მონაწილეობა ან/და რა სახის პრაქტიკული დავალების შესრულება ევალება სტუდენტს კონკრეტული სასწავლო კურსის ფარგლებში. ამასთან, პრაქტიკა ფოკუსირებული უნდა იყოს იმ თემატიკაზე, რომელსაც ითვისებენ შესაბამისი სასწავლო კურსის შინაარსი, პრაქტიკის აღნიშნული მოდელი გამჭოლად უნდა გასდევდეს პროგრამას და მას ინტენსიური ხასიათი უნდა გააჩნდეს) შესახებ, მან განაცხადა, რომ დაწესებულებამ გარკვეულწილად გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაცია და ძირითადი სწავლის სფეროს ცალკეული სავალდებულო სასწავლო კურსების სილაბუსებში დააკონკრეტა როლური და სიტუაციური თამაში - იმიტირებულ სასამართლო პროცესში მონაწილეობის სახით. ასეთ სასწავლო კურსებს განეკუთვნება: „სამოქალაქო სამართლის პროცესი 1“, „სამოქალაქო სამართლის პროცესი 2“, „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი 1“, „სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილი)“, „სისხლის სამართლის პროცესი (კერძო ნაწილი)“, „შრომის სამართალი“, „ადმინისტრაციული სამართლის პროცესი“ და სხვ.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ძირითადი სწავლის სფეროს მთელი რიგი სასწავლო კურსების სილაბუსები კვლავ არ იძლევა ნათელ წარმოდგენას, თუ რა სახის როლურ თამაშში მონაწილეობა ან/და რა სახის პრაქტიკული დავალების შესრულება ევალება სტუდენტს კონკრეტული სასწავლო კურსის ფარგლებში. ასეთ სასწავლო კურსებს განეკუთვნება: „ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი“, „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი 2“, „სახელშეკრულებო სამართალი“, „იურიდიულ პროფესიათა ეთიკა“, „კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები“, „სამოქალაქო და ადმინისტრაციული საპროცესო აქტების შედგენის მეთოდთა“, „ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი“, „სანივთო სამართალი“ და სხვ. შესაბამისად, რეკომენდაცია შესრულებულია ნაწილობრივ.

მეთორმეტე რეკომენდაციის (სტუდენტთა სასწავლო-კვლევითი და კომუნიკაციური უნარების განვითარების მიზნით, რეკომენდებულია, სავალდებულო სასწავლო კურსების სილაბუსებში ჩაშენდეს, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად სტუდენტის მიერ ინდივიდუალური და ჯგუფური წერითი საშინაო დავალების შესრულება და მისი პრეზენტაცია ან საბაკალავრო პროგრამას სავალდებულო კომპონენტად დაემატოს საბაკალავრო ნაშრომი, თუნდაც ისეთი არჩევითი სასწავლო კურსების ხარჯზე, როგორცაა საქართველოს ისტორია, ლათინური ენა, ლოგიკა, პოლიტოლოგია, იურიდიული ფსიქოლოგია, რომლებიც მონაწილეობას არ ღებულობენ პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირებაში) შესახებ, ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ გარკვეულწილად გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაცია და სტუდენტთა სასწავლო-კვლევითი და კომუნიკაციური უნარების განვითარების მიზნით ძირითადი სწავლის სფეროს 6 სავალდებულო სასწავლო კურსის სილაბუსში გაითვალისწინა სტუდენტის მიერ კვლევითი ხასიათის რეფერატის შესრულება. ასეთ სასწავლო კურსებს განეკუთვნება: „საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი“, „საერთაშორისო საჯარო სამართალი“, „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი 2“, „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება“, „ბავშვთა უფლებების სამართალი“, „კონსტიტუციური მართლმსაჯულება“. ამრიგად, ძირითადი სწავლის სფეროს 30 სავალდებულო სასწავლო კურსიდან სტუდენტთა სასწავლო-კვლევით უნარებს მხოლოდ 6 სავალდებულო სასწავლო კურსი ავითარებს, რა აშკარად არასაკმარისია აღნიშნული უნარების განსავითარებლად, მითუმეტეს, რომ საგანმანათლებლო პროგრამა არც საბაკალავრო ნაშრომის შესრულებას არ ითვალისწინებს. შესაბამისად, რეკომენდაცია შესრულებულია ნაწილობრივ.

2.5 კომპონენტის (სწავლება-სწავლის მეთოდები) შესახებ, განმარტა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის არცერთი სავალდებულო სასწავლო კურსის სილაბუსი არ ითვალისწინებდა სტუდენტის მიერ კონკრეტული პრაქტიკული დავალების შესრულებას, ასევე კვლევითი პროექტის შემუშავებასა და მის საჯარო პრეზენტაციას, მხოლოდ ზემოაღნიშნულ 6 სასწავლო კურსში ჩაშენდა კვლევითი პროექტი, თუმცა სასურველია უნივერსიტეტმა კიდევ გაზარდოს სასწავლო კურსებში კვლევითი პროექტების შემუშავება/პრეზენტაცია, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.

მეთხუთმეტე რეკომენდაციის (რეკომენდირებულია ხარისხის კონტროლის მიზნით სტუდენტთა გამოკითხვისთვის განკუთვნილ დროდ შეირჩეს სემესტრის ბოლო, ფინალურ გამოცდამდე შუალედი და უსდ-მ უზრუნველყოს ამ კონკრეტული ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისთვის) შესახებ განაცხადა, რომ უსდ-ის მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცედურით დგინდება, რომ სტუდენტთა გამოკითხვის დროდ შერჩეულია ყოველი სემესტრის ბოლო. შესაბამისად, ბუნდოვანია გაითვალისწინა თუ არა დაწესებულებამ აღნიშნული რეკომენდაცია და გამოკითხვის ეტაპი გადმოიტანა თუ არა ყოველი სემესტრის ბოლოს საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე.

ექსპერტის მოსაზრებით ყველაზე დიდი პრობლემა არის სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში, რადგან დაწესებულებას საკმაოდ კარგი მექანიზმი აქვს, რომელიც ზუსტად აღწერს იმ პროცედურას თუ როგორ უნდა შეფასდეს სწავლის შედეგები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების განყოფილების უფროსმა, ნათია ლაჭავამ, განაცხადა, რომ ექსპერტის მიერ დაწერილი ანგარიშის დასკვნა დაწესებულებას დაეხმარება გაიაროს მომდევნო ეტაპები „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებაში, 2021 წლის 13 მაისს აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით დაწესებულებას ვალდებულებად განესაზღვრა, როგორც ანგარიშის წარმოდგენა, ასევე წელიწად ნახევრის შემდეგ დოკუმენტების მთელი ნაკრების წარმოდგენა, პროგრამის ჩათვლით. ამიტომაც, ექსპერტის შეფასება დაწესებულებას საშუალებას მისცემს იგივე სწავლის შედეგებთან, შედეგების შეფასებასთან და მექანიზმთან მიმართებით კიდევ ერთხელ გადახედოს უკვე შესრულებულ სამუშაოს. მან კიდევ ერთხელ დასძინა, რომ ანგარიშის წარმოდგენით არ დასრულებულა პროგრამაზე მუშაობა, მონიტორინგისთვის კი ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული ყველა რეკომენდაცია იქნება გათვალისწინებული.

„სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, მამუკა შენგელიამ, აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებს ექსპერტის მოსაზრებებს, პროგრამა საჭიროებს მეტ დახვეწას, აღნიშნულზე მუშაობა უკვე დაწყებულია და არასრულყოფილება აღმოფხვრილი იქნება მონიტორინგის შეფასების დროს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:07

დასრულების დრო: 15:09

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

✓ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27⁶ მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2¹¹ პუნქტის საფუძველზე სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

2. მეორე საკითხი: შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
2		-

	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	26.03.2021 გადაწყვეტილება №291500
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	სამართალი - 0421
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი, 0159 ირინა ენუქიძის ქუჩა №3 (დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ)
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

3. მესამე საკითხი: შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	26.03.2021 გადაწყვეტილება №291445
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი	-

	ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	სამართალი - 0421
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი, 0159 ირინა ენუქიძის ქუჩა №3 (დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ)
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე და მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტმა, მაკა კარტოზიამ, განაცხადა, რომ მონიტორინგისთვის წარმოდგენილი იყო შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები, ორივე მათგანს მინიჭებულ ჰქონდა აკრედიტაცია ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით. აკრედიტაციის საბჭომ წარმოადგინა რეკომენდაციები და რჩევები. საბაკალავრო პროგრამასთან მიმართებით გაწერილი იყო 12 რეკომენდაცია, რომელიც ყველა შესრულდა.

ექსპერტმა საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული შესასრულებელი რეკომენდაციები:

1. დარგობრივი უცხო ენა დაემატოს როგორც სავალდებულო კომპონენტი, უმჯობესი იქნება თუმოხდება მისი შესწავლა ორი სემესტრის განმავლობაში - დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სამართლის საბაკალავრო პროგრამის მიხედვით, პროგრამას დამატებული აქვს პროფესიული უცხო ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) სავალდებულო კომპონენტი, რომელიც ისწავლება მესამე სემესტრში, ერთი სემესტრის განმავლობაში. რეკომენდაცია შესრულებულია;

2. პროგრამაში თავისუფალი კრედიტების რაოდენობა შემცირდეს 35 დან, მაქსიმუმ 25 კრედიტამდე - უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სამართლის საბაკალავრო პროგრამის მიხედვით, თავისუფალი სავალდებულო კრედიტების რაოდენობა არის 25. აქედან 20 კრედიტი მინიჭებული აქვს ინსტრუმენტული დისციპლინების მოდულს - უცხო ენა I

(ინგლისური/გერმანული/ფრანგული); უცხო ენა II (ინგლისური/გერმანული/ფრანგული); კრიტიკული აზროვნება და აკადემიური წერა; საინფორმაციო ტექნოლოგიები; ზოგადი მათემატიკური უნარები) და 5 ქულა ზოგად საგანმანათლებლო დისციპლინების მოდულს (კულტურულ-ისტორიული და სოციალური მიმართულება) - მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობა და ქართული კულტურა; საქართველოს და ცივილიზაციის ისტორია; ჰოლოკოსტის ისტორია; (პოსტ) ტოტალიტარიზმის რეპრეზენტაცია გარდატეხის ლიტერატურაში; ხელოვნების თეორია; ფილოსოფიური აზროვნების სოციალურ-კულტურული პარადიგმები; დემოკრატია და მოქალაქეობა; სამოქალაქო საზოგადოება და სახელმწიფო; ფსიქოლოგია; ზეპირი და წერიტი ეტიკეტი ოფიციალურ ურთიერთობებში. რეკომენდაცია შესრულებულია;

3. პროგრამას სავალდებულო კომპონენტად დაემატოს შესავალი საკონსტიტუციო სამართალში - დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სამართლის საბაკალავრო პროგრამის და სასწავლო კურსის „შესავალი საკონსტიტუციო სამართალში“ სილაბუსის მიხედვით, დგინდება რომ სამართლის საბაკალავრო პროგრამას სავალდებულო საგნად დაემატა „შესავალი საკონსტიტუციო სამართალში“, ისწავლება I სემესტრში და მინიჭებული აქვს 5 კრედიტი. რეკომენდაცია შესრულებულია;

4. „ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები“ უნდა მოხდეს ძირითადი ლიტერატურის განახლება - უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ სასწავლო კურსის „ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები“ ძირითადი სავალდებულო ლიტერატურა შეცვლილია და განსაზღვრული აქვს ახალი ლიტერატურა, კერძოდ, (1) კუბლაშვილი, კ., ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, თბილისი 2019; (2) ერემამე ქ., ძირითადი უფლებები თავისუფლებებისთვის, თბილისი, 2020. რეკომენდაცია შესრულებულია;

5. „ადამიანის ძირითადი უფლებების და თავისუფლებების“ სილაბუსში კონკრეტული უფლებების კონსტიტუციური ნუმერაცია შესაბამისობაში მოვიდეს კონსტიტუციის მოქმედ ტექსტთან - დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სასწავლო კურსის „ადამიანის ძირითადი უფლებების და თავისუფლებების“ სილაბუსში კონსტიტუციური ნუმერაცია შეცვლილია და შესაბამისობაში მოქმედი კონსტიტუციის ტექსტთან. რეკომენდაცია შესრულებულია;

საბჭოს თავმჯდომარემ დასძინა, რომ საბჭოს წევრებს წაკითხული ჰქონდათ ექსპერტის დასკვნა და აინტერესებდათ ზოგადი მიმოხილვა ან ინფორმაცია „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ.

ექსპერტმა განაცხადა, რომ გაცემული იყო რამდენიმე რეკომენდაცია, რომლებიც ეხებოდა სილაბუსების განახლებას, ზოგიერთ სილაბუსთან მიმართებაში სახელწოდების ცვლილებას, ასევე საბაკალავრო-სამაგისტრო დონეზე გადაფარვის აღმოფხვრას, მემორანდუმში პრაქტიკის გასავლელად მისაღები სტუდენტების რაოდენობა და საკანონმდებლო მაცნეს გააქტიურება, რადგან სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ ესარგებლათ, როგორც უნივერსიტეტის შიგნით, ასევე, მის გარეთაც. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი პროგრამით, სილაბუსებითა და სილაბუსების ანალიზის საფუძველზე ყველა აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებულია დაწესებულების მიერ, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით, გადაფარვები აღარ არის, სილაბუსებში დამატებულია ახალი, მათ შორის უცხოური ლიტერატურა, მემორანდუმებში დამატებულია სტუდენტების რაოდენობა, ასევე სილაბუსების შეფასების ნაწილი კომპონენტებად არის ჩაშლილი და ადვილად იკითხება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ირინა გველესიანმა, განაცხადა, რომ ერთ-ერთი რეკომენდაციის საფუძველზე „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას დაემატა უცხო ენის სავალდებულო კომპონენტი, რომელიც ისწავლება მესამე სემესტრში, რაც ძალიან კარგია, იგი დაინტერესდა იგეგმება თუ არა იმავე კომპონენტის დამატება მეოთხე სემესტრში რეკომენდაციაში გაკეთებული მითითების შესაბამისად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

უნივერსიტეტის პრორექტორმა და სამართლის სკოლის დეკანმა, გულიკო გალდავამ, განაცხადა, რომ, როგორც ექსპერტმა აღნიშნა, დაწესებულებამ ორივე პროგრამის ფარგლებში სრულად გაითვალისწინა რეკომენდაციები და რჩევებიც კი. საბჭოს წევრს უპასუხა, რომ იმ ნაწილში იყო გათვალისწინებული, რომელზეც საუბრობდა. მან დასძინა, რომ დაწესებულება იყო პირველი, რომელმაც დარგობრივი უცხო ენა პროგრამაში წარმოადგინა, დაწესებულებამ ასევე შეისწავლა სტუდენტთა მოსაზრება, რომელიც ემთხვეოდა საბჭოს წევრის მოსაზრებას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 14:41

დასრულების დრო: 14:44

აკრედიტაციის საბჭოს მიერ შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

✓ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27⁶ მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2¹¹ პუნქტის საფუძველზე შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

✓ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^ბ მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2¹¹ პუნქტის საფუძველზე შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

4. მეოთხე საკითხი: სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	27.06.2019 გადაწყვეტილება №143
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	სამართალი - 0421
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0312, ქ. თბილისი, ა. პოლიტკოვსიას ქ. №61
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ დიახ

თვითაცილება განაცხადა მაკა კაჭარავამ.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გიორგი მახარობლიშვილმა, განაცხადა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ, არაგეგმიური მონიტორინგის პროცესში, შემოწმდა სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულება. არაგეგმიური მონიტორინგი არ განხორციელებულა ადგილზე ვიზიტით. შესაბამისად, დასკვნის პროექტიც ეფუძნება უსდ-ის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზს. სტანდარტებთან შესაბამისობისთვის საბჭოს მიერ გაცემული იყო 4 რეკომენდაცია, მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ შესრულებულია აღნიშნული რეკომენდაციები და არ არსებობს ახალი რეკომენდაციების გაცემის აუცილებლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, რომეო გალდავამ, განაცხადა, რომ დაწესებულება მაქსიმალურად ეცადა გაეთვალისწინებინა აკრედიტაციის პროცესში გაცემული რეკომენდაციები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 14:54

დასრულების დრო: 14:57

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

✓ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 24-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 30-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 31-ე მუხლის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ გადაწყვიტა

შეწყდეს სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება.

5. მეხუთე საკითხი: სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „სამეანო საქმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამეანო საქმის ბაკალავრის პროგრამა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	05.11.2019 გადაწყვეტილება №194
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	საექთნო საქმე (ბებიაქალი)
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამეანო საქმის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	სამეანო და სამეანო საქმე - 0913
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი, 0186, ვაჟა-ფშაველას გამზ. №33, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ დიახ

თვითაცილება განაცხადა ხათუნა თოდაძემ.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას,

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ირინე ფხაკაძემ, განაცხადა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს განსახილველად გადაეცა სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „სამეანო საქმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით. შეფასება განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტის გარეშე, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე. პირველი, მეორე და მეოთხე სტანდარტი ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის თანახმად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. შესაბამისად, მათ ახალი რეკომენდაციები არ შეუმუშავებიათ, გაიცა მხოლოდ რამდენიმე რჩევა, დაწესებულების არგუმენტირებული პასუხის თანახმად განმახორციელებელმა პერსონალმა სრულად გაიზიარა აღნიშნული რჩევები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

„სამეანო საქმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კოორდინატორმა, მედეა ჯღარკავამ, განაცხადა, რომ დაწესებულება მზად არის გაითვალისწინოს ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რჩევები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:07

დასრულების დრო: 15:09

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

✓ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „სამეანო საქმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 24-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 30-ე მუხლის მე-3 პუ

ნქტის, 31-ე მუხლის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ გადაწყვიტა შეწყდეს სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „სამეანო საქმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება. მიჩნეულ იქნეს, რომ „სამეანო საქმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

6. მეექვსე საკითხი: სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „საექთნო საქმის ქართულ-ავსტრიული“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საექთნო საქმის ქართულ -ავსტრიული პროგრამა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	05.11.2019 გადაწყვეტილება №195
5	საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	საექთნო საქმე (ექთანი)
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	საექთნო საქმის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	საექთნო და სამეანო საქმე - 0913
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი, 0186, ვაჟა-ფშაველას გამზ. №33, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ დიახ

თვითაცილება განაცხადა ხათუნა თოდაძემ.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ირინე ფხაკაძემ განაცხადა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს განსახილველად გადაეცა სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საექთნო საქმის ბაკალავრის ქართულ-ავსტრიული პროგრამა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით. მისი მოსაზრებით, ეს ის შემთხვევაა, როდესაც აღნიშნული პროგრამა შეეჯიბრება ნებისმიერ სხვა პროგრამას შრომის ბაზარზე მოთხოვნადობის თვალსაზრისით. შეფასება განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტის გარეშე, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე. პირველი, მეორე და მეოთხე სტანდარტი ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის თანახმად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. შესაბამისად, მათ ახალი რეკომენდაციები არ შეუმუშავებიათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:12

დასრულების დრო: 15:14

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

✓ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „საექთნო საქმის ქართულ-ავსტრიულ“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმალესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 24-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 30-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 31-ე მუხლის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ გადაწყვიტა შეწყდეს სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „საექთნო საქმის ქართულ-ავსტრიულ“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება. „საექთნო საქმის ქართულ-ავსტრიულ“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2022 წლის 31 მაისის 15:15 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით

